140/10
09.03.17

ქ. ქუთაისში კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიის 2016 წლის 29 დეკემბრის N852/10 გადაწყვეტილების შესაბამისად გამოცხადდა კონკურსი ქ. ქუთაისში მეტრულ ტალღათა (FM) დიაპაზონში (სიხშირეზე 97,5მჰც) კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად.

კომისიის 2016 წლის 29 დეკემბრის N852/10 გადაწყვეტილებით კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღების ბოლო ვადად განისაზღვრა 2017 წლის 30 იანვარის 17:00 საათი, მოსამზადებელი სხდომის ჩატარების თარიღად – 2017 წლის 2 თებერვლის 13:00 საათი, ზეპირი მოსმენის სხდომის თარიღად - 2017 წლის 2 მარტის 13:00 საათი, ხოლო კონკურსის ჩატარების თარიღად – 2017 წლის 9 მარტი 13:00 საათი; სალიცენზიო გადასახდელის ოდენობა განისაზღვრა 8100.00 (რვა ათას ასი ლარი) ლარით. ინფორმაცია კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და კომისიის ვებ-გვერდზე ინტერნეტში.

კომისია აღნიშნავს, რომ განაცხადი და დოკუმენტაცია კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს კანონმდებლობისა და 2016 წლის 29 დეკემბრის N852/10 გადაწყვეტილების შესაბამისად, წარმოადგინა შპს ”რადიო ეფ-ემ”-მა (განაცხადის კომისიაში რეგისტრაციის №11/892-17, 30.01.2017წ) და შპს „42 პარალელმა“ (განაცხადის კომისიაში რეგისტრაციის №11/850-17, 27.01.2017წ).

კომისია აღნიშნავს, რომ 2017 წლის 2 თებერვლის მოსამზადებელ სხდომაზე, რომელსაც შპს ”რადიო ეფ-ემ”-ის წარმომადგენელი მიხეილ შათაშვილი და შპს „42 პარალელის“ დირექტორი ავთანდილ ლომინაძე ესწრებოდა, ლიცენზიის მაძიებლების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის გახსნის შედეგად დადგინდა, რომ კომპანიების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლითა და კომისიის 29 დეკემბრის N851/10 გადაწყვეტილებით გამოცხადებული კონკურსის პირობებს. კერძოდ

ა) შპს ”რადიო ეფ-ემ”-ის მიერ წარმოდგენილ საკონკურსო განაცხადზე თანდართულ დოკუმენტაციაში ხარვეზით იყო წარმოდგენილი შესაბამისობის დეკლარაცია, კერძოდ დეკლარაციის მე-5 პუნქტში მითითებული იყო შპს ”რადიო ეფ-ემ”-ის დამფუძნებლის მფლობელობაში არსებული სხვა კომპანიაც. ასევე ხარვეზით იყო წარმოდგენილი ცნობა განცხადებული საწესდებო კაპიტალისა და მისი განაღდებული ნაწილის შესახებ;

ბ) შპს „42 პარალელის“ მიერ ხარვეზით იყო წარმოდგენილი ცნობა განცხადებული საწესდებო კაპიტალისა და მისი განაღდებული ნაწილის შესახებ.

კომისიის 2017 წლის 2 თებერვლის №60/10 გადაწყვეტილების შესაბამისად შპს ”რადიო ეფ-ემ”-ს და შპს „42 პარალელს“ დოკუმენტაციის წარმოდგენის მიზნით მიეცა ვადა 2017 წლის 9 თებერვლის 19:00 საათამდე. შპს ”რადიო ეფ-ემ”-ს მიერ 2017 წლის 8 თებერვალს (წერილი №6/1177-17), ხოლო შპს „42 პარალელის“ მიერ 2017 წლის 3 თებერვალს (წერილი №6/1068-17) წარმოდგენილ იქნა შესაბამისი ინფორმაცია.

ზეპირი მოსმენა ქ. ქუთაისში (სიხშირეზე 97,5მჰც) კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებულ კონკურსზე ჩატარდა 2017 წლის 2 მარტს 13:00 საათზე. ზეპირი მოსმენის სხდომას ესწრებოდნენ შპს „42 პარალელის“ დირექტორი ავთანდილ ლომინაძე და შპს ”რადიო ეფ-ემ”-ის წარმომადგენლები მიხეილ შათაშვილი და ზაქარია ზალიკაშვილი.

ზეპირი მოსმენის სხდომაზე წარმოდგენილ იქნა კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის დასკვნა (სამსახურებრივი ბარათი №10/1979-17, 28.02.2017) კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მაძიებლების, შპს ”რადიო ეფ-ემ”-ს და შპს „42 პარალელის“ მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციების შეფასების თაობაზე. დასკვნაში აღნიშნულია, რომ საძიებელი ლიცენზიის სახეობაა - სპეციალიზებული რადიომაუწყებლობა; ”მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ჰ[8]) ქვეპუნქტის თანახმად, სპეციალიზებული მაუწყებლობა არის ერთი თემატიკის, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის გარდა, პროგრამებით მაუწყებლობა. შეესაბამისად თუ წარმოდგენილ სამაუწყებლო კონცეფციებში შემოთავაზებულია ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-

პოლიტიკური თემატიკის პროგრამები, აღნიშნული ლიცენზიის მაძიებლის დისკვალიფიკაციის საფუძველია.

1. **შპს „რადიო ეფ-ემ“-ის მიერ წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფცია:**
ფორმატი: მუსიკალურ-შემეცნებითი მაუწყებლობა (უმეტესწილად სამამულო მუსიკალური და ოქროს ჰიტების ნაზავით);
მაუწყებლობის ხანგრძლივობა: 126 საათი კვირაში (18 საათი დღე-ღამეში);
მსმენელთა აუდიტორია: ქალები და კაცები 18-55 წლის ასაკი;
მაუწყებლობის გეოგრაფია: საქართველო, იმერეთის რეგიონი, ქუთაისი-ზესტაფონი-ჭიათურა;

წარმოდგენილი კონცეფციის თანახმად შპს „რადიო ეფ-ემ“-ის სამაუწყებლო ეთერი შედგება უმეტესწილად ფონური მუსიკალური ნაწილისგან, რომელიც გაზავებული იქნება მოკლე (5-10 წუთიანი) შემეცნებითი პროგრამებით და რეპორტაჟებით რეგიონალური საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. რადიოს გააჩნია სარედაქციო ჯგუფი, რომელიც განსაზღვრავს შემეცნებითი რუბრიკების სტილსა და სიხშირეს. რადიო ეთერში მეტი “ყოფის” შესატანად სამივე ქალაქში (ქუთაისი, ჭიათურა, ზესტაფონი) იმუშავებს თითო კორესპონდენტი, რომლებიც აღწერენ ადგილობრივების დამოკიდებულებას რაიონის ცხოვრებაზე, სურვილებს, ჩაიწერენ მუსიკალურ მიძღვნებს, პირდაპირი ჩანაწერებით გააშუქებენ ადგილობრივთა დამოკიდებულებას თავიანთ რეგიონში მიმდინარე საყოფაცხოვრებო მოვლენების მიმართ. სარედაქციო ჯგუფი ზედამხედველობას გაუწევს შემდეგი რუბრიკების მომზადებას:

ექიმის რჩევები - აქტუალური სამედიცინო პრობლემების გარჩევა მედიცინის სხვადასხვა სპეციალისტებთან. მათი რეკომენდაციები და დაავადებათა პროფილაქტიკური რჩევები. (ყოველდღიური გამოშვება. გამეორდება დღეში ორჯერ). ასევე, მოკლე რჩევები იქნება ხალხური მედიცინიდან;

ავტო-მოტო-სპორტი - ავტო მრეწველობის სიახლეები, ინფორმაციები სხვადასხვა ავტო შოუებიდან და გამოცდილი ავტომოყვარულების რჩევები. (კვირაში ორი გამოშვება; გამეორდება დღეში ორჯერ);

ლიტერატურული განხილვები - უპირატესად ქართულ ენაზე გამოცემული წიგნების განხილვა, მცირე ანოტაციები და ცნობილი ადამიანების რეკომენდაციები მათი საყვარელი წიგნებისა;

ტექნოლოგიური სიახლეები - ადგილობრივი და მსოფლიო ტექნოლოგიური სიაახლების დაიჯესტური თავმოყრა და მსმენელთათვის გაცნობა, შესაბამის დინამიურ მანერაში. (ყოველდღიური გამოშვება. გამეორდება დღეში ორჯერ);

სოფლის ცხოვრება - ადგილობრივი მოსახლეობა გამოხატავს თავის დამოკიდებულებას რაიონის კულტურულ და სპორტულ მოვლენებზე. სადღესასწაულო დღეების გაშუქება. მაგ. ამინდის მოვლენებთან დაკავშირებული ყოფის აღწერა. ისტორიები ოჯახურ თუ ხალხურ ტრადიციებზე. გზავნილები ახლაგაზრდობისთვის;

აგრარული რჩევები - გამოცდილი აგრონომები, სეზონურ რჩევებს მისცემენ ამა თუ იმ კულტურული ჯიშების მოვლა - გამრავლებაში. (ყოველდღიური გამოშვება. გამეორდება დღეში ორჯერ);

რეგიონის აფიშა - იმერეთის რეგიონში კულტურული ცხოვრების გაშუქება. კონკრეტული ღონისძიებების ანონსი და მოკლე ინტერვიუები ღონიძიების მონაწილეებთან და მაყურებლებთან შთაბეჭდილებების გაზიარება;

პერსონალური პროფილი - ადგილობრივი საწარმოების წარმატებული/გამოცდილი მუშების პერსონალური პროფილის მომზადება, მათი კოლეგების, მეგობრების და ოჯახის წევრების დახასიათებით. (ყოველდღიური გამოშვება. გამეორდება დღეში ორჯერ);

მუსიკალური მიძღვნები - საღამოს მუსიკალური ეთერი გაჯერებული იქნება მუსიკალური მიძღვნებით. (ყოველდღიური გამოშვება. დღეში ორჯერ);

რადიო სტუმარი - რადიო წამყვანი ეპატიჟება სტუმრად პირდაპირ ეთერში საზოგადოებისთვის საინტერესო ადამიანს, სხვადასხვა პროფესიული სფეროდან (მუსიკალური, თეატრალური, ბიზნესის, ტექნოლოგიური და ა.შ. სფეროდან) და 30 წუთიანი კითხვა პასუხით აუდიტორიას აცნობს სტუმრის მოღვაწეობის სფეროს ნიუანსებს, მის პროფესიონალურ თუ პიროვნულ ჩვევებს;

რა მინდა გამოვიდე - ახალგაზრდებისთვის ყოველკვირეული რჩევები კონკრეტული პროფესიული კარიერული ზრდის შესახებ. რა პროფესიებია მოთხოვნადი რეგიონში, რომელი სასწავლებლები იძლევიან სპეციალიზირებულ ცოდნას. როგორია ანაზღაურების ზღვარი კონკრეტული დარგის და კვალიფიკაციის მიხედვით. HR-ის სპეციალისტების რჩევა როგორ გაიარონ გასაუბრება, როგორ

დაწერონ სამოტივაციო წერილი და რას მიაქციონ ყურადღება პიროვნული და პროფესიული ზრდისთვის;

სიმღერის ისტორია - წამყვანი ყოველდღიურად მსმენელს აცნობს მოკლე, საინტერესო და დინამიურ მანერაში ცნობილი ჰიტების ისტორიას. მასთან დაკავშირებულ უცნობ დეტალებს, შემსრულებლების აზრს მათ ნამუშევარზე და ა.შ.

2. **შპს „42 პარალელის“ მიერ წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფცია:**

შპს „42 პარალელის“ მიერ წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციის თანახმად, კომპანიის კონცეფციას წარმოადგენს რადიო-მაუწყებლობა ქვემო იმერეთის რეგიონის მასშტაბით და ციფრული მაუწყებლობა საქართველოს მასშტაბით ინტერნეტის მეშვეობით. ფორმატი მოიცავს როგორც მუსიკალურ ასევე შემეცნებით, შემეცნებით-გასართობ, საგანმანათლებლო, მიმოხილვით, დოკუმენტურ და ინტელექტუალურ პროგრამებს. ყოველდღე, 24 საათის განმავლობაში, შპს „42 პარალელის" ეთერში გავა ცნობილი უცხოური და ქართული სიმღერების მხოლოდ ქავერ–ვერსიები, რაც სიახლეა ქართველი მსმენელისათვის. მუსიკალური კომპოზიციები გათვლილი იქნება ყველა თაობის მსმენელზე. მსოფლიო შოუ ბიზნესის პრაქტიკა აჩვენებს, რომ ახალ არტისტებს გაცილებით მეტი შანსი აქვთ მიაღწიონ ცნობადობის ამაღლებას ფართო მასებისთვის ნაცნობი ქავერ–ვერსიების ხარისხიანად შესრულებით, ვიდრე საკუთარი ორიგინალური რეპერტუარის პრეზენტაციით. შპს „42 პარალელის" სარედაქციო პოლიტიკა მიმართული იქნება ახალი მუსიკოსების/მუსიკალური ჯგუფების შემოქმედებით წახალისებაზე, მედია მხარდაჭერაზე და მუსიკოსებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებაზე. ამასთან ერთად, მრავალფეროვნული პროგრამების არჩევანი მიმზიდველს და საინტერესოს გახდის რადიოს. შპს „42 პარალელის" კონცეფცია ეფუძნება საკუთარი საქმიანობის მუდმივ განვითარებასა და წინსვლაზე ორიენტირებულობას, ქართველი მსმენელისთვის მუსიკის სფეროში ინოვაციური პროექტების შეთავაზებას.

შპს „42 პარალელის“ მიერ წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციის თანახმად, შპს „42 პარალელი“ მსმენელს შესთავაზებს შემდეგ რუბრიკებს:

კატეგორია:	მუსიკა
სახელწოდება:	ვერსია (15:15,16:15სთ)
ქრონომეტრაჟი:	7-10 წთ
მოკლე აღწერა:	რუბრიკაში საუბარი იქნება ცნობილი ქავერ ვერსიების შექმნის ისტორიებზე, თუ როგორ გახდა ქავერ ვერსია ორიგინალზე უფრო პოპულარული. რუბრიკის ბოლოს მსმენელი მოისმენს როგორც ორიგინალს, ასევე ქავერ ვერსიას.
კატეგორია:	კულინარია
სახელწოდება:	უცნობი გემო (08:15 ,09:15,10:15,11:15,12:15 სთ)
ქრონომეტრაჟი:	3 წთ
მოკლე აღწერა:	მსმენელისთვის მიწოდებული იქნება მრავალფეროვანი ორიგინალური, მარტივად მოსამზადებელი კულინარიული რეცეპტები, როგორც ქართული, ასევე უცხოური სამზარეულოდან.
კატეგორია:	მედიცინა
სახელწოდება:	ჰიპოკრატე (08:45,09:45,10:45,11:45სთ)
ქრონომეტრაჟი:	3 წთ
მოკლე აღწერა:	რუბრიკა მიმოიხილავს დაავადებების აღმოჩენის ისტორიას, მათი მკურნალობის და პრევენციის მეთოდებს. ასევე განხილული იქნება სხვადასხვა დაავადებათა სიმპტომები, რომლებიც შესაძლოა გმოვლენილი იყოს ყოველდღიურ ცხოვრებაში. რუბრიკას დაასრულებს ექიმის რჩევები.
კატეგორია:	ავტომობილები
სახელწოდება:	4X4 (13:15,19:15 სთ)
ქრონომეტრაჟი:	3 წთ
მოკლე აღწერა:	რუბრიკაში საუბარი იქნება ავტოინდუსტრიულ სიახლეებზე, ეკოლოგიაზე, ავტომობილების სწორ ექსპლუატაციაზე და მათი ტექნიკური მომსახურების ცენტრებზე.
კატეგორია:	სპორტი
სახელწოდება:	ოლიმპი (13:45,18:15)
ქრონომეტრაჟი:	3 წთ

მოკლე აღწერა: რუბრიკა მოიცავს ქართული და უცხოური სპორტული ეროვნული ნაკრებებისა და კლუბების ისტორიას. მსმენელს მიეწოდება ინფორმაცია ყოველწლიურ სპორტულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, ასევე აუდიტორია მიიღებს ინფორმაციას ცნობილი ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ბიოგრაფიის შესახებ.

კატეგორია: მოდა და სტილი

სახელწოდება: პოდიუმი (14:15, 14:45სთ)

ქრონომეტრაჟი: 3 წთ

მოკლე აღწერა: რუბრიკაში წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია დასავლეთის მოდის ინდუსტრიაში განვითარებული სიახლეების და ტენდენციების შესახებ. მსმენელი ინფორმაციას მიიღებს საქართველოში გამართულ მოდის კვირეულების, ქართულ სამოდო პროდუქციის და მოდის სახლების შესახებ.

კატეგორია: ფილმები

სახელწოდება: სინემატიკა (15:45,16:45 სთ)

ქრონომეტრაჟი: 3-7 წთ

მოკლე აღწერა: რუბრიკა მიმოიხილავს მაღალბიუჯეტიან, პოპულარულ და საავტორო ფილმებს; კინო-ფესტივალების საინტერესო ამბებს; საქართველოს კინოდარბაზებში საჩვენებ ფილმებს.

კატეგორია: ცნობილი ადამიანები

სახელწოდება: პერსონა გრატა (17:15,18:45 სთ)

ქრონომეტრაჟი: 4 წთ

მოკლე აღწერა: მაყურებელი მიიღებს საყურადღებო ინფორმაციას ცნობილი პიროვნებების ცხოვრების შესახებ; აგრეთვე მოისმენს მათ აზრებს და გამონათქვამებს.

კატეგორია: ლიტერატურა

სახელწოდება: წასაკითხი მაქვს (19:45, 20:45სთ)

ქრონომეტრაჟი: 3 წთ

მოკლე აღწერა: აღნიშნული რუბრიკა გულისხმობს ქართული და უცხოური ლიტერატურის მიმოხილვას. მსმენელს მიეცემა საშუალება გაეცნოს მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსებს. რუბრიკაში განხილული იქნება ყველა დროის ქართული და უცხოური ლიტერატურული ბესტსელერები.

კატეგორია: უცნობი ფაქტები

სახელწოდება: ისტორიული მეხსიერება (21:15, 22:15 სთ)

ქრონომეტრაჟი: 3 წთ

მოკლე აღწერა: რუბრიკის ფორმატი ითვალისწინებს, ცნობილი მოვლენების მიმოხილვას და ამ მოვლენების შესახებ, საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი ან ნაკლებად ცნობილი ფაქტების მიწოდებას.

კატეგორია: მოგზაურობა

სახელწოდება: გზამკვლევი (21:45, 22:45სთ)

ქრონომეტრაჟი: 3-5 წთ

მოკლე აღწერა: მსმენელი გაეცნობა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ მდებარე საინტერესო ადგილებს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებულ ტურისტულ მარშრუტებზე, ბუნებრივი და ისტორიული ძეგლების მდებარეობაზე. გადაცემაში ასევე საუბარი იქნება ტურისტული კომპანიების მიერ არსებულ შეთავაზებებზე.

კატეგორია: ამინდის პროგნოზი

მოკლე აღწერა: ამინდის პროგნოზი გავა საათში ერთხელ.

კატეგორია: ვალუტის კურსი

მოკლე აღწერა: მიმდინარე ვალუტის კურსის შესახებ ინფორმაცია ეთერში გავა დღეში სამჯერ. (10:00, 14:00, 20:00 სთ)

დასკვნაში აღნიშნულია, რომ სამაუწყებლო კონცეფციების შეფასება განხორციელდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 43–ე მუხლისა და ”საზოგადოებრივი აზრის შესწავლის

საფუძველზე რადიომაუწყებლობის პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 10 მარტის N160/22 გადაწყვეტილების საფუძველზე.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, რესპონდენტების პრეფერენციები რადიო გადაცემების თემატიკასთან დაკავშირებით, საკმაოდ მრავალფეროვანი და დივერსიფიცირებულია. სხვა თემატიკებთან შედარებით, რესპონდენტები ყველაზე მეტად უპირატესობას ანიჭებენ მედიცინისა და სოციალურ პრობლემების ამსახველ თემებს. სოციალური პრობლემების ამსახველი თემები მეტწილად საერთო მაუწყებლობის დამახასიათებელი ნიშანია, ხოლო რაც შეეხება სამედიცინო თემატიკას ორივე კომპანიას განსაზღვრული აქვთ თითო–თითო პროგრამა.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, რესპონდენტთა პრეფერენციები არაერთგვაროვანია რადიო გადაცემების ფორმატთან მიმართებაშიც. გამოკითხულთაგან ყველაზე მეტი უპირატესობას ანიჭებს ისეთ გადაცემებს, სადაც წამყვანის გარდა მონაწილეობს მსმენელი ან სტუმარი. შედარებით ნაკლებად მიმზიდველია რესპონდენტთათვის გადაცემები სტუმრის ან მსმენელის მონაწილეობის გარეშე.

კომპანიების მიერ წარმოდგენილი კონცეფციების შესწავლის საფუძველზე იკვეთება, რომ სტუმრისა და მსენელის მონაწილეობით პროგრამები უმეტესწილად უზრუნველყოფილია შპს „რადიო ეფ ემ“–ის მიერ. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი კონცეფციები ცალსახად ზუსტ ინფორმაციას აღნიშნული თაობაზე არ შეიცავს, ზეპირ მოსმენაზე უმჯობესია ფორმატთან დაკავშირებული საკითხის დაზუსტება.

კვლევის მონაცემების მიხედვით იკვეთება, რომ საკმაოდ მაღალია ინტერესი ისეთი რადიო არხების მიმართ, რომლებიც სპეციალიზირებული იქნებოდნენ მუსიკის სფეროში (რესპონდენტთა 64.7% აცხადებს, რომ ასეთ არხს ყოველდღიურად მოუსმენდა).

აღსანიშნავია, რომ ორივე კომპანიის კონცეფცია ძირითადად სპეციალიზირებულ მუსიკალურ რადიომაუწყებლობას გულისხმობს, რომელშიც მოკლე რუბრიკების სახით სხვადასხვა თემატიკის (ძირითადად შემეცნებითი) გადაცემებია განსაზღვრული. თუმცა, შპს „42 პარალელი“ სხვა რადიომაუწყებლებთან შედარებით, განსხვავებულ მუსიკალურ კონცეფციას წარმოადგენს, რაც გამოიხატება სამაუწყებლო ბადეში მხოლოდ ქავერ–ვერსიების განთავსებას.

წარმოდგენილი კონცეფციის თანახმად, „42 პარალელის” სარედაქციო პოლიტიკა მიმართული იქნება ახალი მუსიკოსების/მუსიკალური ჯგუფების შემოქმედებით წახალისებაზე, მედია მხარდაჭერაზე და მუსიკოსებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებაზე, ხოლო შპს „რადიო ეფ ემ“–ის მიერ წარმოდგენილი კონცეფციის თანახმად, სამაუწყებლო ეთერი შედგება უმეტესწილად ფონური მუსიკალური ნაწილისგან, რომელიც გაზავებული იქნება მოკლე (5-10 წუთიანი) შემეცნებითი პროგრამებით და რეპორტაჟებით რეგიონალური საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. ამასთან, რადიოს გააჩნია სარედაქციო ჯგუფი, რომელიც განსაზღვრავს შემეცნებითი რუბრიკების სტილსა და სიხშირეს. რადიო ეთერში მეტი “ყოფის” შესატანად სამივე ქალაქში (ქუთაისი, ჭიათურა, ზესტაფონი) იმუშავებს თითო კორესპონდენტი, რომლებიც აღწერენ ადგილობრივების დამოკიდებულებას რაიონის ცხოვრებაზე, სურვილებს, ჩაიწერენ მუსიკალურ მიძღვნებს, პირდაპირი ჩანაწერებით გააშუქებენ ადგილობრივთა დამოკიდებულებას თავიანთ რეგიონში მიმდინარე საყოფაცხოვრებო მოვლენების მიმართ.

კომისიის აუდიოვიზუალური მედია მომსახურების რეგულირების დეპარტამენტის დასკვნის თანახმად მიზანშეწონილია ზეპირ მოსმენაზე შპს „რადიო ეფ ემ“–ის მიერ დაზუსტებულ იქნას კონცეფციაში წარმოდგენილი შემდეგი პუნქტები – *„რეპორტაჟები რეგიონალური საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ და ადგილობრივთა დამოკიდებულება თავიანთ რეგიონში მიმდინარე საყოფაცხოვრებო მოვლენების მიმართ“.*

საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, რესპონდენტთა *მესამედი* უპირატესობას ანიჭებს მედიცინასთან დაკავშირებულ (35.1%) და სოციალური პრობლემების ამსახველ (32.6%) თემებს. შედარებით მცირე და თითქმის თანაბარია იმ რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებლები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ/მიანიჭებდნენ თემებს სხელოვნების (23.5%), საყოფაცხოვრებო პრობლემების (23.3%), პოლიტიკის (23.1%) და სპორტის (22.6%) შესახებ. რესპონდენტთა შედარებით მცირე ნაწილი უპირატესობას ანიჭებს განათლებასთან (16.8%), რელიგიასთან (14%) და ბიზნესთან/ეკონომიკასთან (10.7%) დაკავშირებულ საკითხებს. რესპონდენტთა თითქმის მეათედს (9.2%) უჭირს თვალსაზრისის დაფიქსირება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

N253 ზონაში თემატიკათა ჩაშლა უპირატესობის მინიჭების კუთხით შედეგნაირია: – სპორტი, საყოფაცხვრებო პრობლმები (თუმცა ეს შესაძლებელია საერთო მაუწყებლობის თემატიკა უფრო იყოს), სოციალური პრობლემები (საერთო მაუწყებლობა მხოლოდ), ბიზნესი/ ეკონომიკა, მედიცინა, ხელოვნება, განათლება, პოლიტიკა (საერთო მაუწყებლობა მხოლოდ), რელიგია.

თემატიკა ზონა N253	%
ხელოვნება	16.6
პოლიტიკა	9.1
სოციალური პრობლემები	25.4
ბიზნესი/ეკონომიკა	18.2
სპორტი	34.6
მედიცინა	17.0
განათლება	11.8
საყოფაცხოვრებო პრობლემები	29.4
რელიგია	8.7
მიჭირს პასუხის გაცემა	15.3

თემატიკათა უპირატესობის ჭრილში:

თემატიკა	**შპს „რადიო ეფ ემ“**	**შპს „42 პარალელი“**
სპორტი	–	✓
ბიზნესი	–	–
ხელოვნება	✓	✓
განათლება	–	–
მედიცინა	✓	✓

რესპონდენტთა თითქმის ნახევარს (49.4%) გაუჭირდა საკუთარი თვალსაზრისის დაფიქსირება იმასთან დაკავშირებით, თუ რა თემატიკის გადაცემების ნაკლებობაა საქართველოში არსებულ რადიო არხებზე. სხვა შემთხვევებში, რესპოდენტების პასუხები საკმაოდ დივერსიფიცირებულია. ყველაზე ხშირად დასახელდა სოციალური პრობლემების ამსახველი თემატიკა (15.9%) და მედიცინასთან დაკავშირებული თემები (13.6%), რასაც შემდეგ მოსდევს რელიგიასთან (9.5%), განათლებასთან (8.6%), ხელოვნებასთან (8.0%), ბიზნესთან (5.9%) და სპორტთან (5.9%) დაკავშირებული თემები.

თემატიკა	**შპს „რადიო ეფ ემ“**	**შპს „42 პარალელი“**
მედიცინა	✓	✓
რელიგია	–	–

განათლება	–	–
ხელოვნება	✓	✓
ბიზნესი	–	–
სპორტი	–	✓

გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციების შესაბამისად, ორივე ლიცენზიის მაძიებლის მიერ მეტწილად უზრუნველყოფილია თემათა მრავალფეროვნება, ხოლო ორივე კომპანიის კონცეფცია ძირითადად სპეციალიზირებულ მუსიკალურ რადიომაუწყებლობას გულისხმობს, დეპარტამენტს მიაჩნია, რომ გასათვალისწინებელია შპს „42 პარალელის“ მიერ წარმოდგენილი მუსიკალური მიმართულება. კერძოდ, სამაუწყებლო ბადეში მხოლოდ ქავერ–ვერსიების განთავსება, რაც განსხვავდება სხვა რადიომაუწყებლების მიერ შეთავაზებული მუსიკალური კონტენტისაგან და სარედაქციო პოლიტიკა, რომელიც ემსახურება მუსიკოსების/მუსიკალური ჯგუფების შემოქმედებით წახალისებას.

კომისიის ზეპირი მოსმენის სხდომაზე შპს „რადიო ეფ ემ“-ის წარმომადგენელმა მიხეილ შათაშვილმა დააზუსტა კონცეფციაში მითითებული პუნქტები და აღნიშნა, რომ კომპანიის მიზანია განახორციელოს გასართობი მაუწყებლობა და არ სურს საერთო ან სათემო მაუწყებლობის განხორციელება. გამომდინარე იქიდან, რომ კონცეფციაში მითითებულმა პუნქტებმა გამოიწვია გარკვეული კითხვები შპს ”რადიო ეფ-ემ”-ი ამოიღებს აღნიშნულ პუნქტებს სამაუწყებლო კონცეფციიდან და იმოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომისიის ზეპირი მოსმენის სხდომაზე შპს „42 პარალელის“ დირექტორმა ავთანდილ ლომინაძემ აღნიშნა, რომ მათ მიერ წარმოდგენილია საკმაოდ ორიგინალური მიმართულება - მსმენელისთვის ცნობილი კომპოზიციების ქავერ ვერსიების შეთავაზება. მელომანებისთვის გაცილებით საინტერესოა ამ ტიპის მუსიკის მოსმენა ხარისხიანად, ვიდრე სტანდარტული ორიგინალი შემსრულებლის მიერ შესრულებული კომპოზიციები. კომპანიის დირექტორმა ასევე აღნიშნა, რომ მათ სურთ მუსიკალური და გასართობი ფორმატის გადაცემების მომზადება. რადიოს კოლექტივი დაკომპლექტებული იქნება ქუთაისის მაცხოვრებლებით, ეთერში წარმოდგენილი იქნება ადგილობრივი ბენდები და მათ მიერ შესრულებული კომპოზიციები.

კომისია აღნიშნავს, რომ კონკურსი ქ. ქუთაისში (სიხშირეზე 97.5 მჰც) კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად კომისიაში ჩატარდა 2017 წლის 9 მარტს 15:00 საათზე. საკონკურსო სხდომას ესწრებოდნენ შპს „42 პარალელის“ დირექტორი ავთანდილ ლომინაძე და შპს ”რადიო ეფ-ემ”-ის წარმომადგენელი მიხეილ შათაშვილი.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის მიერ შესწავლილ იქნა შპს “რადიო ეფ ემ“-ის და შპს „42 პარალელის“ მიერ წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფცია და კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის დასკვნის საფუძველზე აღნიშნავს, რომ ორივე კომპანიის კონცეფცია მსგავსია, თუმცა შპს „42 პარალელის“ კონცეფცია გამოირჩევა ორიგინალურობით, კერძოდ აღსანიშნავია ორი მიმართულება: ცნობილი კომპოზიციების ქავერ ვერსიების შეთავაზება და მსმენელისთვის ადგილობრივი ბენდების და მათ მიერ შესრულებული კომპოზიციების წარდგენა. შესაბამისად კომისიას მიაჩნია, რომ ქ. ქუთაისში კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებულად უნდა გამოცხადდეს შპს “42 პარალელი“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 43-ე მუხლისა და კომისიის 2016 წლის 29 დეკემბრის N851/10 გადაწყვეტილების შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. ქ. ქუთაისში კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდეს შპს „42 პარალელი”;

2. უზრუნველყოს შპს „42 პარალელმა” ერთი თვის ვადაში, სალიცენზიო გადასახდელის 20%-ის - 1620.00 (ერთი ათას ექვსასოცი და 00 თეთრი) ლარის საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდა შემდეგი რეკვიზიტების მიხედვით:
მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში - 200122900
ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
მიმღების ბანკის კოდი - TRESGE22
სახაზინო კოდი - 300183062
3. კომისია გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულისათვის ლიცენზიის გაცემის თაობაზე მიიღებს სალიცენზიო გადასახდელის 20%-ის საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში.
4. კონკურსში გამარჯვებულის მიერ წინამდებარე გადაწყვეტილების მე–2 პუნქტით განსაზღვრული სალიცენზიო გადასახდელის 20%-ის ამავე გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. ამ შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს 2 წლით ეზღუდება კონკურსში მონაწილეობის უფლება;
5. სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის დარჩენილი 70%-ის ანუ 5,670.00 (ხუთი ათას ექვსასსამოცდაათი და 00 თეთრი) ლარის გადახდა განხორციელდეს ლიცენზიის მოქმედების ვადის პირველი წლის განმავლობაში კონკურსში გამარჯვებული პირისათვის ლიცენზიის გაცემის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული წესით;
6. დაევალოს კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ნ. დევდარიანი) კონკურსში გამარჯვებული ლიცენზიის მაძიებლის მიერ კომისიის ანგარიშზე ჩარიცხული სალიცენზიო გადასახდელის 10%-ის საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე დაუყოვნებლივ გადარიცხვა;
7. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი. ხარებავა) შპს „რადიო ეფ ემ”-ისთვის და შპს „42 პარალელისთვის“ წინამდებარე გადაწყვეტილების ასლის გაგზავნა;
8. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს აღნიშნული გადაწყვეტილების შპს „42 პარალელისთვის” ჩაბარების დღიდან.
9. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ., №6) ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;
10. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების მე-2, მე-5 და მე-6 პუნქტების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ნ. დევდარიანი);
11. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე (გარდა მე-2, მე-5 და მე-6 პუნქტებისა) დაევალოს კომისიის აპარატის ლიცენზირების, ავტორიზაციისა და ნებართვების დეპარტამენტს (მ. ქადეიშვილი).

კომისიის თავმჯდომარე	ვახტანგ აბაშიძე
კომისიის წევრი	გიორგი ფრუიძე
კომისიის წევრი	მერაბ ქათამაძე